ცნობის ფურცელი

№ 2146 პარასკევი, 9 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2146

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში გოლოვინის ქუჩაზე, № 27 და ქ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კვირას, 11 მაისს, მის უდიდებულესობის კარის იეგერმეისტერის თავად

კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3—1).

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რეჟეის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კომელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—81)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის ქუჩა)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
ე ქ ი მ ე ბ ი:
ვ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მუდინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.
ვ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ს. ვ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
მ. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.
დ. ა. ზედგინიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
ს. ვ. ამბარძანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
ბრ. ვ. ხოზოლოვსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ტ. ვ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
მუდმივი ექიმი **ვ. დ. ნასარიძე.**

[illegible]
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფები—სამ მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 374 (წლ.

ე ქ ი მ ი
ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

მ ე ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ე
კ. დ. კობახიძე
მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თულაევისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს. (3—6.—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს საყოველთაოდ, რომ 11 მაისს, 1903 წ., დღის 12 საათზე მოხდება კურთხევა **ნატალია გრიგოლის ასულის უიოევის ძეგლისა** ვერის სომეხთა სასაფლაოზე. (2—1)

ე ქ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე ბაქრაძის ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—1-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ორბელიანის ქუჩა, 38. (წლ.

საზღვარ-გარედ

ავსტრო-უნგრეთი. 4—5 ივნისს პრაგაში ჩეხებმა იან გუსის ძეგლის საძირკველი უნდა ჩაუყარონ. ამ დღესასწაულისთვის მთელი ჩეხია ემზადება. ამ ცოტა ხანში გამოაცხადებენ დღესასწაულის პროგრამასაც. როგორც გაზეთები სწერენ, პროცესიაში დიდძალი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. სხვათა შორის, მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩეხთა ყველა კორპორაციამ და საზოგადოებამ. სახალხო თეატრში წარმოადგენენ ირაკის პიესას „იან ჟიჟკა“ ს. პროფესორი განტიხი ამზადებს ფრანგულს ენაზე დიდ წიგნს იან გუსის შესახებ. ჩეხებს იმედი აქვთ, რომ ამ საერო დღესასწაულზე ბევრი სტუმარი ეწვევათ. სხვათა შორის, ფრანგებსაც მოელიან. ბევრმა საზღვარ-გარეთულმა გაზეთმა უკვე გამოაცხადა, განსაკუთრებულ კორესპონდენტებს გავგზავნით ამ დღესასწაულზეო. უკმაყოფილონი არიან მომავალის დღესასწაულით მხოლოდ სამღვდელოება და კლერიკალები—მდიდარი მემამულენი. ჩეხთა განზრახვა არც იმპერატორსა და კარის-კაცთ მოსწონთ.

◆ ავსტრიელი კლერიკალები მაინც თავისას არ იშლიან და მეცადინეობენ კლერიკალიზმის გასამტკიცებლად ავსტრიაში. ეხლახან ვენაში კრება ჰქონდათ „ზემო ავსტრიის კათოლიკებს“. მონაწილეობას კრებაში, სხვათა შორის, კლერიკალიზმისა და ანტისემიტიზმის ისეთი ბურჯნიც იღებდნენ, როგორნიც არიან ლიუგერი, თავ. ლიხტენშტეინი და სხვანი. საინტერესოა ლიხტენშტეინის სიტყვა, კრებაზე წარმოთქმული: „ჩვენ გვინდა დავაარსოთ კათოლიკეთა უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტმა მაგალითი უნდა აჩვენოს სხვა მაღალ სკოლებს. უპირველესს ყოვლისა ჩვენა ვთხოულობთ სახელმწიფოს უმაღლეს სკოლების რეფორმას. მომავალმა სკოლებმა კეთილი და მორწმუნე მოხელენი უნდა გამოგვიზარდონ. დღეს სულ სხვასა ვხედავთ დღევანდელი უმაღლესი სკოლა ისეთ ხალხს გვიზრდის, რომელიც იმპერიისა, დინასტიისა, კათოლიკობისა და საზოგადოდ ქრისტიანობის წინაამდეგ მოქმედებს. საჭიროა, ყველა სკოლა ძირიან ფესვიანად შეიცვალოს. ჩვენ ვეცდებით ამისთვის“. კლერიკალებს დიდი იმედი აქვთ მემკვიდრე პრინცის ფერდინანდისა.

◆ ხორვატიაში დიდი მოძრაობაა მადიართა წინაამდეგ. ხორვატელ გლეხებს საზოგადოთ ძალიან სძულთ მადიარები. ეხლა ამ სიძულვილს აგიტაცია და სხვა-და-სხვა ჭორებიც მიემატა. აგიტატორები ურჩევენ გლეხებს, არ დაინდონ გაბატონებული მჩაგვრელნი, მადიარნი. ხალხში აუარებელ ფურცლებს და მოწოდებებსავრცელებენ. ამ საქმისთვის მოქმედებენ უმთავრესად მღვდლები, მასწავლებელნი და სტუდენტები. არეულობა დღითი დღე ძლიერდება. ხმა დადის, რომ აგრამში მეამბოხეებმა რკინის გზის დიდი შენობა ააფეთქესო. სლავონ-ბროდში 600 კაცისაგან შემდგარმა გლეხთა ბრბომ მიწასთან გაასწორა რკინის გზის სადგური. გლეხები ძველის თოფებითა, ნაჯახებითა და კეტებით ყოფილან შეიარაღებულნი. რადგან გლეხნი სხვა სადგურებსაც ემუქრებოდნენ, ბევრგან ჟანდარმთა რაზმები დაიბარეს. პოგაჩევში ნამდვილი ბრძოლა გაიმართა: გლეხებმა იერიშით აიღეს ვიღაც ფოდრონის კოშკი. გლეხები ამბობდნენ, რომ კოშკში იმალება ხორვატიის ბანი გრაფ ხედერვარიო. მეამბოხეთ გაძარცვეს კოშკი, ხოლო სახლის პატრონი ეკკლესიაში შეიყვანეს და ფიცი ჩამოართვეს, რომ მადიარებს წინააღმდეგობას გაუწევს: ბანს სახლში არ შეუშვებს და გლეხებს ზარალს არ გადაახდევინებს. ყოველივე ეს გლეხებმა ქაღალდზე დააწერინეს და ერთ კრონიანი მარკა დააკრეს ზედ. ასეთი ამბები ხორვატიაში ბევრგანა ხდება თურმე.

ბალკანეთი. სალონიკში ყოველ დღე ოსმალეთის მოხელენი დიდ-ძალ ხალხს აპატიმრებენ. დაპატიმრებულთა შორის 22 პროფესორია და 468 მასწავლებელი. ამათგან 82 სერბია, დანარჩენი—ბოლგარი. ოსმალეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ დაპატიმრებულნი ყველანი დაქირავებული აგიტატორები არიან, ამიტომ არც ერთს არ გავანთავისუფლებთ ზაფხულის განმავლობაში, რათა აგიტაციას ბოლო მოეღოსო. ამასთან ოსმალეთი დღითი-დღე ჯარს უმატებს სა-

ფელეტონი

ჰერხარტ ჰაუპტმანი

(კრიტიკული ეტიუდი)

თანამედროვე დრამატურგთა შორის იბსენის შემდეგ პირველი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში უჭირავს ახალგაზდა გერმანელს ჰერხარტ ჰაუპტმანს. სულ თხუთმეტი წელი არის მას შემდეგ, რაც ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და დღეს კი მას მთელი ევროპა კარგად იცნობს. მის პიესებს ამ ჟამად დიდი სიამოვნებით სდგამენ ევროპის ყველა სცენებზე, მის შესახებ იწერება მრავალი კრიტიკული წერილები და სხ. ზოგიერთ ქვეყნებში კი მას უკეთ იცნობენ, ვინემ მასზე უფრო ნიჭიერ მოხუც—იბსენს. მაგრამ, მიუხედავად ამ საერთო გატაცებისა, ჰაუპტმანის ლიტერატურული ფიზიონომია ჯერ გამოურკვეველია. ბევრი სთვლის მას ნატურალიზმის მიმდევრად, ბევრი სიმვოლისტად, რომანტიკად და სხ. არიან ისეთებიც, რომლებმაც ჰაუპტმანი „მისტიკის“ სახელით მონათლეს. ეს უკანასკნელი აზრი სრულიად მოკლებულია სინამდვილეს*). მხოლოდ სრულიად უვიც კრიტიკოსს შეუძლია ჰაუპტმანი „მისტიკად“ აღიაროს. ამ აზრის სიყალბეს შემდეგში ნათლად დავანახვებთ მკითხველს, როდესაც მის პიესებს ვრცლად შევეხებით. ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავარკვიოთ მისი მიმართულება, საჭიროდ მიგვაჩნია მისი პიესების მოკლე დახასიათება და, რადგანაც ჰაუპტმანი სამართლიანად ითვლება ეგრედ წოდებულ ახალი დრამის საუკეთესო წარმომადგენლად, ამიტომ პირველად ახალი დრამის ნიშნობლივ თვისებებს უნდა გავეცნოთ, რადგან მხოლოდ მაშინ შეგვეძლება მისი პიესების დაფასება.

თანამედროვე დრამა განსხვავდება ძველი დრამისაგან, რომლის წარმომადგენლებად დასავლეთ ევროპაში ითვლებიან უმთავრესად ცრუ-კლასსიკები და რომანტიკები, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ხელოვნების და კერძოდ დრამის განვითარება მჭიდროთაა დაკავშირებული სოციალურ ცხოვრების განვითარებასთან. იცვლება თუ არა ამა თუ იმ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, მასთან ერთად იცვლება ხელოვნებაც, იცვლება ხელოვნების შინაარსი, რადგან ხელოვნება ნამდვილი ცხოვრების, ნამდვილ საზოგადოებრივ განვითარებათა სურათია ამ აზრის თანახმად დრამის შინაარსი ამ უკანასკნელ დროს უთუოდ უნდა გამოცვლილიყო, რადგან ამ ბოლო ხანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილება მოხდა. ეს ცვლილება გამოიხატება იმით, რომ ბურჟუაზიულ წესწყობილების განვითარებამ უკიდურეს წერტილამდე მიაღწია. რასაკვირველია, ეს ცვლილება თანდათანობის კანონს ექვემდებარებოდა, ბურჟუაზიული წყობილება გასული საუკუნის დასაწყისშიაც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში განვითარდა, ის თანდათან ვითარდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად იმ სოციალურ ქეშმარიტებისა, რომლის თანახმად ისტორიას არ უყვარს ნახტომები, ჩვენ მაინც ვამბობთ: ამ ბოლო დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილება მოხდა. ამით ის გვინდა ვსთქვათ, რომ მხოლოდ ბოლოს დროს იგრძნო კაცობრიობის დიდმა უმრავლესობამ თანამედროვე წყობილების გახრწნილობა, თანამედროვე წყობილების უვარგისობა. თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი დაცემა მხოლოდ ამ ბოლოს გახდა თვალსაჩინოთ, რადგან ბურჟუაზია მხოლოდ ამ ბოლოს გათახსირდა ასე თვალსაჩინოდ. როგორც ვიცით, თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობა დამყარებულია შრომის საშიშარ ექსპლოატაციაზე. დღეს დღე და ღამ შრომობს საზოგადოების დიდი უმრავლესობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შრომის ნაყოფი მუქთა ხორა ბურჟუაზიას მიაქვს. ბურჟუაზია, რომელიც ერთ დროს თანასწორობისთვის და თავისუფლებისთვის იბრძოდა, რომელმაც თავისი რევოლიუციონური პრინციპები გამოაცხადა შესანიშნავ „დეკლარაციაში“, ეს ბურჟუაზია—ერთ დროს პროგრესიული კლასი—საშინლად გაირყვნა და გათახსირდა. თანამედროვე საზოგადოებაში ჩვენ ვხედავთ—ერთის მხრივ—აუარებელ სიმდიდრეს, მეორეს მხრივ—აუტანელ სიღარიბეს. სიმდიდრემ ბურჟუაზია გარყვნა და გაამხეცა, ის დაეცა როგორც ზნეობრივად და გონებრივად, ისე ფიზიკურადაც; ფული, რაც შეიძლება მეტი ფული—აი, რა ამოძრავებს მას, აი, მისი მიზანი. ფულის გაბატონებამ დასცა ზნეობრივად მთელი საზოგადოება. მთელი საზოგადოება შეიქმნა ფულის მონად, გაჭირვებამ და სიღარიბემ დაბალ კლასებში გამოიწვია პროსტიტუციის განვითარება. ადამიანთა შორის გამეფდა

---

*) თუ სიტყვა „მისტიკს“ ვიწროდ გავიგებთ, ე. ი. თუ მხოლოდ რელიგიური ცრუ მორწმუნეობის მქადაგებელს დავარქმევთ მისტიკს.

ლონიკში. ამ ბოლო დროს ათი ახალი ბატალიონი კიდევ გაჰგზავნა.

◆ სალონიკის ნავთ-სადგურში ამ ჟამად ათი გემია გარეშე სახელმწიფოებისა. პორტამ მიჰმართა ავსტრო-უნგრეთისა და იტალიის სახელმწიფოებს და სთხოვა, თავიანთი გემები უკანვე წაიყვანონ, რადგან სალონიკის მცხოვრებნი უკმაყოფილებას აცხადებენო. წესიერების დასაცველად სალონიკში დიდძალი ჯარია. მთელი ქალაქი ნაწილებად არის დაყოფილი და თითო ნაწილში რამდენიმე რაზმია დაბანაკებული.

◆ „ტან“-ს ატყობინებენ სალონიკიდან: ბევრი აქ იმ აზრისაა, რომ ბალკანეთის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს არა ეშველება-რა, ვიდრე ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის ომი არ მოხდებაო. ოსმალნი მეტად მტრულად ექცევიან ბოლგარებს. დღითი-დღე მოსალოდნელია საერთო სისხლის ღვრა. უწესოების მიზეზად ოსმალნი ბოლგარებსა სთვლიან. აი, ამიტომ დაუსრულებელ სისხლის ღვრას ბევრი ომს ამჯობინებს.

◆ სოლონიკის ამბების შესახებ ერთ ბოლგარულ გაზეთს სწერენ: ვიდრე სახლებს ააფეთქებდნენ, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ რაღაც საშიში საქმე მზადდებაო. ამ ხმას ოსმალთა მოხელეებმაც კარგად მოჰკრეს ყური. ეხლა დანამდვილებით გამოირკვა, რომ დამოენის მოხელენი მოისყიდეს და საზღვარგარეთიდან დიდ-ძალი დინამიტი შეიტანეს. მეამბოხეებმა ბევრ ევროპიელს წინადვე აცნობეს, აფეთქებას ვაპირებთ და თავს უშველეთო.

◆ ერთ სერბიულ გაზეთს ატყობინებენ, რომ ბერძნებმა ძალიან დიდი ვნება მოუტანეს მაკედონელთაო. ბერძნები, როგორც გაზეთი იუწყება, ოსმალთა გულის მოსაგებად ჯაშუშობასაც არ ერიდებოდნენ და ხან ერთ ბოლგარს ასმენდნენ, ხან მეორეს. „ასეთ სამარცხვინო ხელობას, ამბობს გაზეთი, ბერძენთა დიპლომატნი და უმაღლესი მოხელენიც შეეჩვივნენ ამ ბოლოს დროს“. საეჭვოა, რომ ეს ამბავი მართალი იყოს. ყოველ შემთხვევაში იგი ნათლად ჰმოწმობს, რა მტრობა და სიძულილია ბალკანეთის ერთა შორის.

დანია. საპარლამენტო სესსია დასრულდა და მთელი დანია არჩევნების სამზადისს შეუდგა. არჩევნები მოხდება ამ ზაფხულს, ივნისს. სოციალისტები და რადიკალები დღემდე არჩევნების დროს ერთად მოქმედებდნენ. წელს ამ ორ დასს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა, ამიტომ საერთო კანდიდატებს აღარ წამოაყენებენ. ეს გარემოება-კი, ეჭვი არ არის, დიდად შეუწყობს ხელს მთავრობასა და იმის მომხრე დასს. ამბობენ, ამ არჩევნების დროს მთავრობის დასი ბევრ ახალ მომხრეს იშოვნისო.

ესპანია. დამთავრდა სენატის წევრთა არჩევნები. ახალ სენატში მთავრობის მომხრე 130 კაცია, მოწინააღმდეგე—80. ოპოზიციაში ითვლება 40 ლიბერალი, 2 რესპუბლიკელი და 8 დამოუკიდებელი. ჰფიქრობენ, მთავრობა, ამ მომხრეებით ზურგ გამაგრებული, ძალიან წათამამდებაო.

ჩინეთი. ერთ ფრანგულ ჟურნალში საინტერესო წერილია დაბეჭდილი გერმანელ ვაჭრებისა და ჩინელების შესახებ. ამ ბოლო დროს გერმანელებმა ძალიან გააძლიერეს ვაჭრობა ჩინეთში და ფეხი მაგრა მოიკიდეს იქ. ორიოდე წლის წინად ჯილიში გერმანული ფირმა იშვიათი სანახავი იყო, ახლა-კი ფეხს არ გადაადგამთ ისე, რომ გერმანელთა სავაჭროებს არ შეჰხვდეთ. გერმანელებმა დიდი მეტოქეობა გაუწიეს ჩინელსავე მრეწველთ, რომელნიც ადგილობრივ, ჩინელთა საყვარელ, საქონელს ამზადებენ. გერმანელმა ვაჭრებმა თავი მოუყარეს ჩინეთის ინდუსტრიის ნაწარმოებს, გაჰგზავნეს იგი გერმანიაში და ამ ნიმუშების შემწეობით სწორედ ისეთი საქონელი დაამზადეს, როგორსაც ჩინეთში ამზადებენ. ჩინელი ყველაფერში კონსერვატორია. იგი ერთხელვე შეჩვეულ ნივთს ძნელად გადაეჩვევა, აი, ამიტომ გერმანელებს ეხლა საუცხოვო ვაჭრობა აქვთ. გერმანელნი ამზადებენ აბრეშუმს, ბამბეულს, ფაიფურს. არც ინგლისელნი და არც ფრანგნი ასე მოხერხებულად არ მოქცეულან. ამას გარდა გერმანელებმა ისეთი საქონელი შეიტანეს ჩინეთში, რაც დღემდე ინგლისს შეჰქონდა. თუ ჩინელს საქონელი არ მოსწონს, გერმანელი იქვე, ჩინეთშივე, ამ საქონელს ჩინურს „გემოს“ აძლევს და შემდეგ ასაღებს. ვერც ამ საქმეში გამოიჩინეს ამ გვარი უნარი ინგლისელებმა. გერმანიის ინდუსტრია დიდ მეტოქობას უწევს იაპონლებსაც, თუმცა მუშა ხელის ფასი ბევრად იაფია იაპონიაში, ვიდრე გერმანიაში.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ პეტერბურგში ყოფნის დროს უნდა იშუამდგომლოს, სხვათა შორის, **ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების** შესახებ.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ განსვენებულმა თავ გრიგოლ დადიანმა შესწირა 3400 მან. „ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელით ყოველ წელიწადს პრემია მიეცეს იმას, ვინც საუკეთესო თხზულებას დასწერს **საქართველოს ისტორიასა, ქართულ ენისა ან ლიტერატურის** შესახებ. პრემიების დანიშვნის წეს-რიგი გამგეობამ უკვე შეიმუშავა, დაამტკიცა და დაადგინა, გამოაქვეყნოს იგი.

◆ გუშინ, 8 მაისს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში **დაკრძალეს გვამი ახლად გარდაცვალებულის თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა.** მწირველნი იყვნენ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე და იმერეთისა ლეონიდი. დაესწრნენ თავად-აზნაურობა და დიდ-ძალი ხალხი.

◆ პიროგოვის სახელობის რუსს-მკურნალთა საზოგადოებას განუზრახავს **სოფლის მუშათა მდგომარეობის გამორკვევა.** საზოგადოებას აზრადა აქვს უმთავრესი ყურადღება მიაქციოს სანიტარულ მდგომარეობას. მიწათ-მოქმედების მინისტრმა, ხსენებულ საზოგადოების თხოვნით, დაავალა სამეურნეო საზოგადოებებს, სხვათა შორის კავკასიისასაც, წარუდგინონ საჭირო ცნობები სოფლის მუშათა შესახებ. უნდა წარუდგინონ ცნობები მუშაობის პირობებისა, სანიტარულ მდგომარეობისა, სამუშაო დღისა და სხვათა შესახებ.

◆ გუშინ **პეტერბურგის დღესასწაულებზე დასასწრებლად** ტფილისიდან წავიდნენ ქალაქის მოურავი და დეპუტაცია. გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ. გუბერნატორის წინადადებით, ბ-ნი შესტაკოვი გუშინდლიდანვე შეუდგა ქალაქის მოურავის თანამდებობის ასრულებას. პეტერბურბურგში ყოფნის დროს მოურავმა უნდა იშუამდგომლოს, რომ ქალაქს დაუბრუნდეს ხაზინაზე დარჩენილი ფული დასაფასებელ გადასახადისა. სულ სახაზინო ითვლება 255 ათასი მანეთი. ხაზინა თავის მხრივ ქალაქზე სთვლის 75 ათას მანეთს, რომელიც ხაზინას დაუხარჯნია ქუჩების მოკირწვლასა და ქალაქის მოწყობაზე თვით-მმართველობის შემოღებამდე.

◆ გუშინ, 8 მაისს, მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს გრძნობა დაკარგული კაცი, დედათა საეპარქიო სასწავლებლის შვეიცარი გრანდინი, რომელიც მალე გარდაიცვალა. როგორც გამოირკვა, გრანდინი **ციმბირის ჭირისაგან მომკვდარა.** მაშინვე ამის შესახებ აცნობეს გუბერნატორს, რომელმაც ქალაქის მკურნალს დაავალა გამოიკვლიოს, საიდან შეჰხვდა გრანდინს ციმბირის ჭირი.

◆ ამას წინად ვწერდით, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს **კავკასიაში ქინაქინის ხე მოაშენოს.** ეს საქმე პირველად აღუძრავს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ამ საზოგადოებას უთხოვნია მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისთვის, დაიბაროს საცდელად ქინაქინის თესლი და ნერგები. დეპარტამენტს უკვე დაუბარებია თესლი ცეილონსა და ინდოეთიდან.

◆ როგორც გავიგეთ, **კავკასიის მუზეუმის დირექტორად ჰნიშნავენ** გვარდიის პოლკოვნიკს კაზაკოვს.

◆ ი. ნ. თამამშევმა განცხადება შეიტანა გამგეობაში. სწერს, რომ 15 თებერვლიდან **არც ერთი კრება არა ჰქონია იმ კომისიას,** რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ცხენის რკინის გზას და რა არის ამის მიზეზიო. როგორც აღმოჩნდა, გამგეობას ამ კომისიის (სადაც 12 წევრია) არსებობა სრულიად დავიწყებია. გამგეობას კომისიის თავმჯდომარედ აურჩევია ხმ. სულხანოვი, მაგრამ ეს ამბავი არ უცნობებია.

◆ ამ ცოტა ხანში კრება მოხდება **ბებია ქალთა ერთად-ერთი დამხმარებელ საზოგადოების** დასაარსებლად. დამაარსებელთ უკვე მიიღეს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესდება. საზოგადოებას აზრადა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს გაჭირვებულ ბებია ქალებსა და იმათ ოჯახობას. ამას გარდა საზოგადოება თავისს წევრების გონებრივ განვითარებასაც ეცდება: მოაწყობს ლექციებს, კითხვებს, დააარსებს სტიპენდიებს და სხვას. წესდება უკვე იბეჭდება.

◆ გუშინ, როგორც იქმნა, ქალაქის გამგეობამ მოიფიქრა **ხორცის ფასის** გაგება ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებში. ამიტომ გამგეობამ მისწერა ბათუმისა, განჯისა, ბაქოსა და სხვა ქალაქის გამგეობებს და სთხოვა ცნობების გამოგზავნა.

◆ ჰ. ნ. ნადიროვისას ქალაქის გამგეობისათვის ქაღალდი გადაუცია, რომლითაც აცნობებს, რომ ვწირავ **ქალაქს სკოლისათვის დიდუბეში 300** ოთხ-კუთხ საჟენ მიწასაო.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრო ჰფიქრობს, ნება დართოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს დაიბარონ ხოლმე **საზღვარგარეთიდან უბაჟოდ** სხვა-და-სხვა მცენარის თესლი.

◆ 5 მაისს **კრება ჰქონდათ** ტფილისის ხელოსნებს. კრებამ ამოარჩია კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს სახლის აგებისათვის სახელოსნო გამგეობის მოსათავსებლად. კომისიაში 12 კაცია, მეცამეტე თავმჯდომარეა, ხელოსანთა მოურავი რაფაილოვი.

◆ მთავრობას გადაუწყვეტია, როგორც „ნოვ. ობოზრ.“ სწერს, დააარსოს დუშეთის მაზრის სოფელ ოძისსა და კოპორიში **ერთ-კლასიანი სასწავლებლები.**

◆ **შავ-ქვის მრეწველთა** უკანასკნელმა კრებამ შეიმუშავა ახალი დებულება მრეწველთა კრების შესახებ. როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, სამინისტროს ეს დებულება უცვლელად დაუმტკიცებია.

◆ ტფილისში არსდება **ახალი სამუსიკო საზოგადოება.** როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, ახალ საზოგადოებას აზრად ექმნება ადგილობრივ ერის სახალხო სიმღერების შეკრება, შესწავლა და გამოცემა როგორც რუსულს, ისე ადგილობრივს ენებზე. საზოგადოება ეცდება აგრეთვე ამ სიმღერების გავრცელებას. წესდება შეუმუშავებიათ და მალე დასამტკიცებლადაც წარადგინეს.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა ტფილისელ ვაჭართა საზოგადოების შუამდგომლობა **საკომერციო სასწავლებელში 10 სტიპენდიის დაარსების** შესახებ.

◆ **პირველ მაისის მოგებათა ტირაჟის დროს პირველი მოგება, 200 ათასი მანეთი, როგორც „ბაკინ. იზვ.“ გადმოგვცემს, ერგო თურმე ერთ ბაქოელს, „ჰენრიხ ბლოკის“ სავაჭრო სახლის ბაქოს განყოფილების მოსამსახურეს.**

◆ **კვირას, 11 მაისისათვის დანიშნული კრება ამ სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისა, რომელთაც ქალაქი ტფილისი თავისის ხარჯით ინახავს.**

◆ **ოთხშაბათს, 7 მაისს, სხდომა ჰქონდა საბჭოს ოთხს კომისიას თავმჯდომარეთა ამოსარჩევად. ქალაქში ჯანმრთელობის მეთვალყურე**

კონკურენცია, ფარისევლობა და შურიანობა. ადამიანი ადამიანისთვის გახდა მგლათ, მათ შორის ასტყდა საშინელი ბრძოლა, ამ საერთო დემორალიზაციამ კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს თვალები აუხილა და ახალ საზოგადოების შექმნის სურვილი აღუძრა. ეს მებრძოლი ნაწილი კაცობრიობისა დარწმუნდა, რომ მხოლოდ სოციალურ თანასწორობის და გარმონიის გამეფების შემდეგ დამყარდება ნამდვილი ადამიანური განწყობილებანი, მხოლოდ მაშინ კაცობრიობა ამოისუნთქავს თავისუფლად. დღევანდელი ბურჟუაზიული კულტურა კი, მათის აზრით, გახრწნილია. ყველას ყოველთვის ფული ამოძრავებს, ყოველგან სუფევს ორპირობა და გაუტანლობა. გაჰქრა სადღაც წმინდა უანგარო სიყვარული. ეხლანდელი სიყვარული ანგარიშზეა დამყარებული. ფულმა ძლიერ დააკუწმაწა პიროვნება; დღეს თუმცა პიროვნება de iure თავისუფალია, მაგრამ სამაგიეროდ ეკონომიურად იმნაირათაა შებორკილი, რომ მას უსამართლობის წინააღმდეგ ხმის დაძვრა ძლიერ უჭირს, ის თავის პიროვნებასაც ვერ იცავს. დღეს ნამდვილი პიროვნება არ არსებობს, დღეს პიროვნების კარიკატურები მოქმედებენ. ასეთია ბურჟუაზიული საზოგადოება, ასეთია ბურჟუაზიული წყობილების დამახასიათებელი თვისებანი. როგორც ზემოთაა ნათქვამი, ფულის გაბატონებამ დასცა მთელი საზოგადოება, დასცა ზნეობრივად როგორც ბურჟუაზია, ისე პროლეტარიატიც (რასაკვირველია, შედარებით უფრო დაეცა ბურჟუაზია). თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასი შეიპყრო ერთმა საზიზღარმა სენმა, რომელსაც კულტურული ბურჟუობა ეწოდება. ბურჟუობას გამდიდრების სურვილი ავრცელებს; თანამედროვე ადამიანს ძლიერ უჭირს ეკონომიურად, მისი უმთავრესი მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩება, ამიტომ ის მხოლოდ გამდიდრებაზე ჰფიქრობს, მისი ღმერთი ფული ხდება, ის ფულს სცემს თაყვანს. რასაკვირველია, თუ ადამიანი ნივთიერათ უზრუნველყოფილი არ არის, ის ვერაფერს ვერ გააკეთებს, ის ვერ იქნება ნამდვილი პიროვნება. ეკონომიური კეთილდღეობა ერთად-ერთი საშუალებაა ადამიანის კულტურულ განვითარებისთვის, მაგრამ ეს კეთილდღეობა ადამიანმა არ უნდა გაიხადოს თვით მიზნად, არ უნდა აღმერთებდეს ის ფულს. სწორედ ეს ხდება თანამედროვე საზოგადოებაში. დღეს ფულის მოპოება მიზნად გადაიქცა. ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა იყოს დღევანდელ წყობილებაში, როდესაც ხალხი ათასობით იხოცება სიმშილის გამო. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: დღეს თითქმის ყველას ნივთიერი კმაყოფილება მიზნათ აქვს დასახული. ეს არის კულტურული ბურჟუობა. ბურჟუობას მოასწავებს აგრეთვე ისიც, რომ პიროვნებას არ აქვს თავისი აზრი რომელიმე კითხვის შესახებ, ის, როგორც უბრალო მანქანა, ემორჩილება საზოგადოების აზრს. მას ძლიერ აინტერესებს საზოგადოების აზრი, ის მზათაა უარყოს თავისი „მე“, ოღონდ საზოგადოება მასზე კარგი აზრის იყოს. პიროვნების სრული დამორჩილება საზოგადო აზრის მიერ უთუოდ ბურჟუობის ნიშანია. დღეს ნამდვილი პიროვნება არ არსებობს, ის საზოგადოებამ შთანთქა, ის საზოგადო აზრის მონაა. თანამედროვე საზოგადოების დაცემა ეხლა ყველასათვის თვალსაჩინოა. ამას თამამად იტყვის ბურჟუაზიის იდეოლოგიც. სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ბურჟუაზიის გათახსირებას თვით ბურჟუაზიის წარმომადგენელნი გვისურათებენ. ისინი, როგორც, მაგალითად, შესანიშნავი გიუ-დე-მოპასსანი, ვერ ხედავენ ბურჟუაზიის უმიზნო ყოფა-ცხოვრებაში გარყვნილების მეტს ვერავითარ საყურადღებო მოვლენას, და ამიტომ პესსიმიზმს ეძლევიან. როგორც მოსალოდნელი იყო, გათახსირების წინააღმდეგ ხმა ამოიღო დამონავებულ კლასმა. ის იბრძვის სოციალურ მონობის წინააღმდეგ, მას ჰსურს დამყაროს ადამიანთა შორის ისეთი განწყობილებანი, რომელთა მეფობის დროს ამ ქვეყნად ყველა ბედნიერი იქნება; მას სურს მოსპოს უმცროს-უფროსობა, მას სურს შეჰქმნას ახალი საზოგადოება, რომელიც იქნება დამყარებული სამართლიანობაზე და თავისუფლებაზე. ცხადია, რომ თანამედროვე სოციალურ ბრძოლის გათავების შემდეგ, ე. ი. ეკონომიურ გარმონიის დამყარების შემდეგ ძირიანათ მოისპობა კულტურული ბურჟუობა, ცხადია, რომ მაშინ პიროვნება თავისუფლათ ამოისუნთქავს, რომ პიროვნება საზოგადოების მონა არ იქნება, ცხადია, რომ პიროვნება განვითარდება ფიზიკურად, ზნეობრივად, გონებრივად და ესტეტიურად. ეს დიდებული შეგნებულად დაწყებული ბრძოლა ექსპლოატაციის და გახრწნილების წინააღმდეგ იმედს აძლევს კაცობრიობის მებრძოლ ნაწილს, რომ ახლო მომავალში ეხლანდელი კონკურენცია შეიცვლება საერთო სიყვარულით, რომ ახალ საზოგადოებაში ახალი ცხოვრება იქნება, რომელსაც არ ექნება არავითარი კავშირი თანამედროვე გარყვნილებასთან. ეს ბრძოლა ძალ-მომრეობისა და თვითნებობის წინააღმდეგ გვარწმუნებს, რომ ადამიანს კიდევ შერჩენია წმიდა გრძნობის ნატამალი, რომ მას კიდევ შეუძლია ცოტათი მაინც დაიცვას თავისი წმიდა უფლებანი. ამ ბრძოლის შე-

კომისიის თავმჯდომარედ აარჩიეს ქნიაზი ს. ი. ანანოვი, მუხრანსკის ხიდის გამკეთებელ კომისიის თავმჯდომარედ ა. ს. ბაბოვი; ქალაქის წყლის მილის მეთვალყურე კომისიისა—ა. ს. ბაბოვი და ქალაქის სასაფლაოების მეთვალყურე კომისიისა—ნ. ა. გრიქუროვი.

◆ ხუთშაბათს, 7 მაისს, სხდომა ჰქონდა ხარგის დუქნების გამგე კომისიას. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ანგარიში ამა წლის იანვრამდე. შემდეგ კომისიამ გადასწყვიტა, დანიშნოს განსაკუთრებული სხდომა დუქნების საქმეების მოსაწყობად.

◆ გუშინ-წინ, 7 მაისს, უდელის ქუჩაზე, ტერ-პოლოსოვის სახლში, შტაბს-კაპიტანის ზ. მ. გოროდეცკის სადგომიდან მოიპარეს 7000 მანეთის ნივთები და ფული. პოლოსოვის სახლში ბევრი ხალხი სცხოვრობს, გოროდეცკის სადგომი მოთავსებულია მესამე სართულში; ქმარი სხვაგან მსახურებდა და სახლში გოროდეცკისას მოსამსახურე ქალი ჰყავს. ამ სადგომში შესვლა მხოლოდ ეზოდან შეიძლება. ქურდობის დღეს გოროდეცკისა ბავშვებსა და მოახლესთან ერთად სტუმრად წავიდა. ნაშუადღევის 4 საათზე ქურდები შესულან სადგომში შეუმჩნევლად, გაუღიათ გასაღებით კარები და შესდგომიან ჩხრეკას. სასადილო ოთახში უნახავთ ყუთი ძვირფასის ნივთებით. წაუღიათ ნივთები 1200 მანეთისა, 400 მანეთის ფასიანი ქაღალდები და 5500 მან. წიგნაკი პეტერბურგის სახელმწიფო ბანკისა. ქურდები შეუმჩნევლადვე წასულან. შინ დაბრუნებისას გოროდეცკისამ პოლიციას გამოუცხადა ყოველივე.

◆ გუშინ, 8 მაისს, ენფიანჯიანცის ქარხანასთან, მუშა პაშიანცი დაჰხვდა ქარხნის გამგეს მანველოვს და დანით დასჭრა ორგან. მანველოვმა ამ დროს მაგრა დაარტყა თავში ჯოხი. მოცვივდნენ მეეზოვები, პაშიანცს იარაღი წაართვეს და პოლიციაში წაიყვანეს. ჯოხი ისე მაგრა დაერტყა მანველოვს, რომ პოლიციიდან საავადმყოფოში გაჰგზავნეს პაშიანცი. მანველოვი-კი შინ წაიყვანეს. უკმაყოფილების მიზეზი ისა ყოფილა, რომ პაშიანცი რამდენისამე დღის წინად ქარხნიდან დაუთხოვიათ.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში ეს მე-9 დღეა დაიკარგა გასათხოვარი ქალი 21 წლისა, ელისაბედ ტერ-სააკოვისა. თუმცა მშობლები ყოველ ღონეს ხმარობენ ქალის მოსაძებნად, მაგრამ ჯერ ვერსად ვერ აღმოუჩენიათ.

◆ გუშინ-წინ ერევნის მოქალაქე კარაპეტ დერბინიანცისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოტყუებით 345 მანეთი ამოუცლიათ ქისიდან გოგოლის ქუჩაზე. დერბინიანცს სადგურზე მატარებლისათვის ვერ მიუსწრია და უკან დაბრუნებულა; გამოყოლია ერთი უცნობი. გოგოლის ქუჩაზე შეჰხვედრია მეორე უცნობი კაცი და უთქვამს, ფულის ქისა დავკარგე და უთუოდ შენა ჰნახავდიო. ამ ლაპარაკში დერბინიანცისათვის ეშმაკურად გამოუცლიათ ფული ხელიდან.

◆ 6 მაისს, ღამე, ბათუმის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ხე-ტყის საწყობს და მთლად გადაიწვა. ზარალი 600 მანეთისაა. ცეცხლი გადასულა მარკოზოვის ქალის სახლებზე და 1000 მან. ზარალი მიუყენებია. კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ ცეცხლის მქრობელ რაზმმა ცეცხლი ჩააქრო.

◆ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე ავადმყოფობის გამო საზღვარ-გარედ მიდის.

მთავრობის განკარგულება

ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილია ადგილობრივ გუბერნატორის დადგენილება:

„1903 წელს 2 მაისს მე, ბაქოს გუბერნატორმა დ. ა. ოლინცოვმა, განვიხილე საქმე უწესოებათა შესახებ, რომელიც მოხდა ბაქოში 27 აპრილს და, კავკასიის მთავარმართებლის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, გადავწყვიტე: წეს-რიგის დამრღვევ ყრილობების მოხდენისა და პოლიციის კანონიერ მოთხოვნილების არ შესრულებისათვის დაპატიმრებულ იქმნენ:

სამის თვით:

1. მიკირტიჩევი ადაჯან, ქალაქ ბაქოს მცხოვრები; 2. მიკირტიჩევი მელანია ანტონის ასული, იმისი ცოლი; 3. ვარნოვსკაია ქსენია ვლადიმირის ასული, ქ. ტაგანროგის მცხოვრები; 4. საგაევი მიხეილ ვასილის ძე, ასტრახანის მოქალაქე; 5. კალაშევი იაკობ ივანეს ძე, ქ. ალექსანდროპოლის მცხოვრები; 6. არუთუნიანცი არუთუნ მარტიროზის ძე, ს. კირხივანის მცხოვრები, ერევნის გუბერნიისა; 7. ბულდევი ვასილ ივანესძე, ქ. სპასკის მოქალაქე, რიაზანის გუბერნიისა. 8. ასკოშანიანცი ამაზის პეტროსის ძე, თისმალუთის ქვემეგრლომი; 9. საფიანცი სტეფანე კარაპეტის ძე, ს. ბადრუსის მცხოვრები, განჯის გუბერნიისა და 10. ალოლაშვილი აბრამ ვინაისძე, ახალციხის მოქალაქე, ტფილისის გუბერნიისა.

ორის თვით:

11. პაპოვი ანდრია, ქ. შემახის მცხოვრები.

ერთის თვით:

12. ყარამანიანცი ტიგრან, ქ. შუშის მცხოვრები; 13. სარქისოვი მიხეილ, ქ. შუშის მცხოვრები; 14. სარქისოვი სუმბატ, ქ. შუშის მცხოვრები; 15. კურაკინი ვასილ, გლეხი ვლადიმირის გუბერნიისა; 16 ჩერნიკოვი მიხეილ ვასილის ძე, ბაქოს მოქალაქე; 17. არუთუნიანცი სტეფანე არუთუნის ძე, ერევნის გუბერნიისა; 18. ალექსანდრე სმეტსკი, ტფილისის მცხოვრები; 19. დუშნიკოვი ალექსი, ვიატკის გუბერნიის გლეხი; 20. ახვერდიანცი სტეფანე, ერევნის გუბერნიის მცხოვრები; 21. ლობანოვსკი ივანე მარტინეს ძე, გლეხი ჩერნიგოვის გუბერნიისა; 22. რუდინსკი ივანე იაკობის ძე, შემახის მაზრის სოფ. ნიდმელის მალაკანი; 23. ბადაცაძე აქსენტი ეპიფანეს ძე, ქუთაისის მაზრის სოფ. კინდრის გლეხი; 24. ფრეიმან-ჰეინრიხ გეინრიხოვიჩი, სამარის გუბერნიის სტანიცის სტეპნოის გლეხი; 25. მარტიევი ბეკას ივანესის ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 26. ამიროვი ბახში აირაპეტის ძე, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 27. არუთუნოვი ჯევათ ალექსანდრეს ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 28. ზახაროვი მესრო, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 29. არუთუნოვი ბახში ალექსანდრეს ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 30. ხაჩატუროვი ალიმ, შუშის მაზრის მცხოვრები; 31. კასპაროვი აველის, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 32. მურადოვი თევოს არაქელის ძე, იმავ მაზრის მცხოვრებივ 33. არზუმანოვი ფარსადან ივანესის ძე, იმავ მაზრის მცხოვრები; 34. ავაზოვი სუკიას, იმავ მაზრის მცხოვრები; 35. ამიროვი მელიქსეტ, იმავ მაზრის მცხოვრები; 36. კოუბარიანცი ივანე სიმონის ძე, ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები.

სამის კვირით:

37. ოჰანიანცი გრიგორ ივანესის ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 38. დავიდოვი აველის, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 39. მიხეილიჩენკო ვასილი სერგეის ძე, გროდნოს გუბერნიის მცხოვრები; 40. ოჰანჯანოვი ალექსანდრე ხაჩატურის ძე, განჯის მაზრის მცხოვრები; 41. სიმონიანცი აბრამ თუმანის ძე, შუშის მცხოვრები 42. არაქელოვი არშაკ არაქელის ძე, იმავ ქალაქის მცხოვრები; 43. ყარამოვი ერემია მიკირტიჩის ძე, ს. კოლიშკენტის მცხოვრები; 44. ამბარცუმოვი ადაბეგ მინასის ძე, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 45. ავაზოვი მელიქსეტი, იმავ სოფლის მცხოვრები; 46. ყარსამოვი მინას მიკირტიჩის ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 47. შამურადოვი სვიმონ არაქელის ძე, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები.

დაპატიმრების ვადა უნდა 27 აპრილს 12 საათიდან ჩაითვალოს.

გენერალ-მაიორი ოლინცოვი.

რუსეთის ქრონიკა

◆ უწმ. სინოდმა დაამტკიცა პროექტი ახალ შტატებისა სასულიერო უწყების დედათა სასწავლებლებისთვის. დღემდე ამ სასწავლებლებში სასულიერო სემინარიის მასწავლებელნი იყვნენ, ამიერიდან კი მასწავლებელთა საკუთარი შტატი უნდა შესდგეს. ამ შტატში იქმნებიან: სასწავლებლის უფროსი ქალი, ექვსი აღმზრდელი ქალი, სამი აღმზრდელ ქალის თანაშემწე, კლასების ინსპექტორი, სამღვთო სჯულის მასწავლებელი, ხუთი მასწავლებელი და რამდენიმე სხვა თანამდებობის კაცი. სწავლა-დამთავრებულთ მიენიჭებათ შინა მასწავლებლის სახელი.

◆ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და უბრძანა ფინლიანდიის სენატს დაითხოვოს სამსახურიდან ულეაბორგის ლიცეის ლექტორი მაუნუ როზენდალი.

◆ როგორც მთავრობის ოფიციალურ გაზეთშია დაბეჭდილი, ტომსკის გუბერნატორის ბრძანებით, 18 მაისს უწესოების მოხდენისათვის ადმინისტრატიულის წესით დაუპატიმრებიათ 15 კაცი. დაპატიმრების დრო ორის კვირიდან ორ თვე ნახევრამდეა.

◆ ორიოლის საგუბერნიო ერობამ საერო განათლების სამინისტროს წინაშე შემდეგი შუამდგომლობა აღძრა: 1. სასკოლო წიგნთ-საცავებს ნება მიეცეთ იქონიონ ის წიგნები, რომელიც სამეცნიერო კომიტეტის მიერ სახალხო წიგნთ-საცავისთვის აღკრძალული არ არის; 2. სამასწავლებლო წიგნთ-საცავებმა იქონიონ ის წიგნები, რომელიც ნება დართულია საჯარო წიგნთ-საცავებისათვის. სამინისტრომ არც ერთი შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

პრესსა

„ნოვოსტ“-ში გ. ლ. პოლონსკის წერილია დაბეჭდილი სისხლის სამართლის ახალ დებულების იმ ნაწილის გამო, რომელიც პრესსას შეეხება.

„ჩვენს დროში, ამბობს ავტორი, როდესაც გაჩნდნენ ახალი ფაქტორები, როდესაც გართულდა საზოგადოებრივი ცხოვრება, გადიდდა მოთხოვნილება და გაძლიერდა ყოველგვარი მეურნეობა, მთავრობასა და მოხელეებს თავიანთ დაწესებულებათა მეოხებით აღარ ძალ-უძსთ ყველაფერს თვალ-ყური ადევნონ, ყველაფერს მოუარონ. საჭიროა ამიტომ თვით საზოგადოების თვალი, საზოგადოების ხმა. საზოგადოების აზრი და სურვილი მთავრობას მხოლოდ პრესსის შემწეობით შეუძლიან გაიგოს. აშკარაა, პრესსას დიდი მოწოდება აქვს, დიდი მოვალეობა ადევს. ამ მოვალეობისა და მოწოდების პირნათლად შესასრულებლად-კი პრესსას უნდა დიდი ასპარეზი მიეცეს, მეტის მოქმედების სახსარი მიანიჭოს. პრესსა მაშინ შესძლებს სარგებლობის მოტანას, როდესაც მარტო სასამართლოს წინაშე იქმნება პასუხის-მგებელი·

⁂

არსად სასოფლო-მეურნეობა ისე არ არის განვითარებული, როგორც დანიაში. დანია ბუნებით მწირი ქვეყანაა, კავკასიას, მაგალითად, იგი ვერც კი შეედრება, მაგრამ ხალხის მეცადინეობამ და მხნეობამ მიწის კულტურა ძალიან წასწია წინ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დანია სასოფლო-მეურნეობის მხრივ განავითარა და გააძლიერა კერძო ინიციატივამ. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ევროპაში ბატონ-ყმობა პირველად—1702 წელს—დანიამ გადააგდო და თავის ახალშენებში პირველად იმან გააუქმა მონებით ვაჭრობა. ინტელიგენციას დანიაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხის წინაშე. არსად ინტელიგენცია სოფლის კეთილდღეობისათვის ისე არა ცდილა, როგორც დანიაში. საყურადღებო ამბებს გადმოგვცემს დანიის შესახებ „კავკ. სელსკ. ხოზ.“-ს უკანასკნელი ნომერი. სავალდებულო საყოველთაო სწავლება დანიაში 1814 წელს შემოიღეს.

უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც ძლიერ შეუწყო ხელი სასოფლო-მეურნეობის გაძლიერებას, იყო სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში· ამ ჟამად მთელ დანიაში აღარ მოიპოვება წერა-კითხვის არ მცოდნე. არც საკვირველია, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ სავალდებულო სწავლება 1814 წლიდან შემოიღეს და ღარიბებს უსასყიდლოდ ასწავლიან. დანიის 2,256,000 მცხოვრებს 1894 წელს 2940 სასწავლებელი ჰქონდა. მაშასადამე, ერთი სასწავლებელი 767 სულზე მოდის. ტფილისის გუბერნიაში, როგორც ბ-ნ ალიბეგოვის მოხსენებიდან სჩანს, ერთი სასწავლებელი მოდის—2632 სულზე, ბაქოსაში—10,900 სულზე, ხოლო დაღესტნისაში—29,800 სულზე. ხაზინა დანიაში სკოლების შესანახად იხდის მთელ ხარჯის 10,5%-ს. კარგად არის მოწყობილი დანიაში აგრეთვე სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები. ასეთი სასწავლებელი დანიაში სულ 13-ია. უმთავრესი სამეფო საბეითალო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტია.

ინსტიტუტი ხუთ ფაკულტეტს შეიცავს. ამას გარდა ინსტიტუტთან სამაგალითო სამკურნალოა პირუტყვთათვის, სამჭედლო, ლაბორატორია და სხვა. სხვა სასწავლებელთა შორის საყურადღებოა ლადელუნდის სკოლა. ამ სკოლაში უმთავრესს ყურადღებას საგნების თეორეტიულ მხარეს აქცევენ, ამიტომ შედიან ისინი, ვისაც პრაქტიკულად უმუშავნია. მოსწავლენი სკოლაშივე სცხოვრობენ და ხუთის თვის განმავლობაში იხდიან (სწავლის ფასს, ჭამა-სმისას, სადგომისას და

დეგი გაამართლებს სენ-სიმონის მშვენიერ სიტყვებს: „კაცობრიობის ოქროს საუკუნე სრულებით არ არის ჩვენს უკან. ის ჩვენს წინაა. ის მდგომარეობს საზოგადოებრივი წყობილების გაუმჯობესებაში.“

თანამედროვე ბრძოლას პიროვნების განთავისუფლებისათვის ბანს აძლევს თანამედროვე სიტყვა კაზმული ლიტერატურაც და განსაკუთრებით თანამედროვე დრამა. თანამედროვე დრამატურგები მედგრათ იბრძვიან ცრუ საზოგადოების წინააღმდეგ, ისინი ძირს უთხრიან დღევანდელ წყობილებას, ისინი ნათლად გვიმტკიცებენ თანამედროვე ადამიანის გათახსირებას, თანამედროვე ცხოვრების სიყალბეს. მათი მკაცრი ანალიზი და კრიტიკა თანამედროვე საზოგადოებისა ბევრს აგნებინებს პიროვნების საცოდავ მდგომარეობას, ბევრს ბრძოლის სურვილს უბადებს. გავიხსენოთ, მკითხველო, რომ შესანიშნავი რომანისტები, როგორც, მაგალითად ბალზაკი, ზოლა და სხ., შესანიშნავი დრამატურგები იბსენი, ჰაუპტმანი, მეტერლინკი, გორკი, შესანიშნავი ფილოსოფოსი ნიცშე და მრავალი სხვა ბურჟუაზიულ საზოგადოების დაუძინებელი მტერნი არიან; გავიხსენოთ ნიცშეს მშვენიერი დახასიათება თანამედროვე საზოგადოებისა, მისი ზე-კაცი, რომელიც მომავალ ადამიანის სურათია, გავიხსენოთ იბსენის მკაცრი კრიტიკა თანამედროვე ოჯახურ და საზოგადოთ სოციალურ განწყობილებათა, ჰაუპტმანის სურათები მუშათა ცხოვრებიდან, მეტერლინკის საუცხოვო დასურათება ნამდვილი ადამიანის ტრაღიკული მდგომარეობისა, გორკის გულწრფელი, მაგრამ ცხოვრების მიერ გარიყული ბოსიაკები და საჭირო არ იქნება განმარტება იმისა, თუ რას წარმოადგენს დასახელებულ მწერალთა აზრით თანამედროვე საზოგადოება. ეს დიდებული მწერლები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ დღევანდელ ცხოვრებას, ისინი დასტირიან ადამიანის დაქუცმაცებას, მათ სურთ დამპალი საზოგადოების გარდაქმნა, მათ სწადიათ ახალი ცხოვრება, ახალი გზით სიარული. და ეს სურვილი თავისებურ დაღს აჩენს დღევანდელ დრამას. პიროვნების სრული თავისუფლება—აი, რა აკერიათ პირზე თანამედროვე მწერლებს. ისინი ინდივიდუალისტებია. მაგრამ მათ ინდივიდუალიზმს რა აქვს საერთო ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმთან. ისინი თხოულობენ პიროვნების ეკონომიურად განთავისუფლებას, განთავისუფლებას ტრადიციებისაგან, დოგმებისაგან, საზოგადო აზრისაგან, ერთი სიტყვით, მათ სწადიათ ნამდვილი სულით მთელი პიროვნების შექმნა. ეს, რასაკვირველია, სრულიად არ წაავგავს ბურჟუაზიის დედა-პრინციპს: homo homini lupus est. მოკლედ რომ ვსთქვათ; ჩვენი დრო რომანტიული დროა. კაცობრიობის მებრძოლ ნაწილს ახალი ცხოვრება სწყურია, ახალ გზას ეძებს სიმართლისაკენ. ჩვენ დროს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მედგარ ლტოლვილებათა ხანა-sturm und drang periode. მართლაც, გადავავლოთ თვალი თანამედროვე ფილოსოფიურ მოძრაობას, ბელლეტრისტიკას, დრამას და პოეზიის საზოგადოთ. ყოველგან ვხედავთ ახალი გზისკენ საოცარ მისწრაფებას. ფილოსოფოსები სხვა-და-სხვა მწვავე კითხვებს არკვევენ, მათ არ აკმაყოფილებს პოზიტივიზმი, მათ მეტაფიზიკური კითხვების გარკვევა სურთ. ბევრს ეგონა, რომ მეტაფიზიკური იდეალიზმი დიდი ხანია რაც სამუდამოთ დამარცხებულიაო, ეხლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ კაცობრიობა ისევ უბრუნდება იდეალიზმს. ასეთსავე ცვლილებას ვამჩნევთ ხელოვნებაშიაც. პიროვნების ფასის ამაღლება, პიროვნების რაც შეიძლება მეტი თავისუფლება—აი, ამ გონებრივი მოძრაობის უმთავრესი იდეია. თანამედროვე დრამას ძლიერ ემჩნევა ამ მოძრაობის გავლენა. აიღეთ საუკეთესო პიესები საუკეთესო დრამატურგთა და უთუოდ ნახავთ შიგ ახალ იდეების მზგავს რამეს. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ დრამატიულ ლიტერატურაში უფრო უწინ ირკვევოდა ის კითხვები, რომელნიც დღეს მოსვენებას არ აძლევს თანამედროვე ახალგაზდობას, როგორც, მაგალითად, იბსენის პიესებში. წარმოიდგინეთ, ისტორიულ პიესებშიაც კი თანამედროვე მწვავე საკითხებს ეხებიან. აიღეთ მაგალითად, მეტერლინკის შესანიშნავი ისტორიული დრამა „მონნა ვანა“. ამ პიესის უმთავრესი იდეია—ეს პიროვნების თავისუფლების საჭიროებაა. მომქმედნი პირნი ამ პიესაში თანამედროვე ენით ლაპარაკობენ. ეს კითხვა კი, ე. ი. პიროვნების თავისუფლების საჭიროება, ეხლანდელი საზოგადოებისათვის ფრიად საყურადღებოა, ეს კითხვა ძლიერ აწუხებს მას. ასეთი მაგალითები ბევრია.

მოკლედ, ბურჟუაზიული წყობილების მშვენიერი დასურათება—აი, ნიშნობლივი თვისება დრამის წარმომადგენელთა, თანამედროვე საზოგადოების გათახსირების დახატვა—აი, მათი სატრფიალო საგანი, პიროვნების განთავისუფლება სოციალურ და გონებრივ მონობისაგან, ნამდვილ მთელი პიროვნების შექმნა—აი, მათი საბოლოო მიზანი.

ივ. რამიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

სხვას) სულ 85 მანეთს. როგორც ზემოდაც იყო მოხსენებული, მთავრობა ძალიან მცირე მონაწილეობას იღებს სკოლების დაარსებასა და შენახვაში. თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს ინახავენ კერძო კაცები ან საზოგადოებანი. მალინგში არსებობს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. დააარსა იგი 300 კაცისაგან შემდგარმა საზოგადოებამ. პირველ ხანს სკოლის მოსაწყობად წევრებმა თავიანთ ჯიბიდან 52,000 მანეთი გადასდეს და 20,800 მანეთიც სხვა ისესხეს.

თეატრი

რუსული დრამატიული დასი. 7 მაისიდან „საარტისტო საზოგადოების" თეატრში დაიწყო წარმოდგენები მოსკოვის საიმპერატორო თეატრის დასისა. ამ დღეს დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა, თეატრში ტევა არ იყო. წარმოადგინეს «Сильные и слабые», პიესა ტიმკოვსკისა. რაღა თქმა უნდა, ნიჭიერმა არტისტებმა ნიჭიერად ჩაატარეს პიესა. ძალიან მოეწონა საზოგადოებას ქ-ნი ლეშკოვსკაია, ბ-ნნი იუჟინი (სუმბათაშვილი) და ილინსკი. მეორე მოქმედების შემდეგ „საარტისტო საზოგადოების" მხრივ ბ-ნმა ოჰოჩინინმა ადრესი წაიკითხა. ადრესში საზოგადოება მადლობას უცხადებდა დასს, განსაკუთრებით, პრავდინს, ტფილისში ხშირად მოსვლისა და წარმოდგენების გამართვისათვის.

8 მაისს დასმა წარმოადგინა შექსპირის ტრაგედია „ოტელლო". ოტელლოს როლს ასრულებდა ბ-ნი იუჟინი. პირველ ხარისხოვან არტისტებს ბ-ნი იუჟინი ამ როლში, რაღა თქმა უნდა, ვერ შეედრება, მაგრამ იგი მაინც ნიჭიერად და სინამდვილით გვიხატავს მავრის ძლიერ ხასიათს, იმის გაურყვნელ და ამაყ ბუნებას. მოსული გარეგნობა და მძლავრი, რიხიანი ხმა ბ-ნ იუჟინს ძლიერ უწყობს ხელს ამ როლისთვის. დამსწრე საზოგადოება, რასაკვირველია, ოვაციებით მიეგება ნიჭიერ არტისტს.

ხვალ, 10 მაისს, თავისს ბენეფისში, ბ-ნი იუჟინი შეასრულებს „ჰამლეტის" როლს. კვირას ბენეფისია მეორე ნიჭიერ არტისტის პრავდინისა. წარმოადგენენ „Выгодное предпріятіе"-ს.

კვირას, 11 მაისს, ჩვენი არტისტები, ბ-ნთ ვ. აბაშიძისა და კ. მესხის მეთაურობით, გამართვენ წარმოდგენას ბ-ნ იუჟინისა და საიმპერატორო თეატრის სხვა არტისტების პატივსაცემად. წარმოადგენენ მეოთხე მოქმედებას თავ. სუმბათაშვილის პიესის „კაზაიანიდან" და „ხანუმას" მეორე მოქმედებას. შემდეგ ხორო შეასრულებს ქართულს სიმღერებს, დასასრულ ლეკური იქნება.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგს:

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად 22 მარტს, ქუთ. ქალაქის თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა ქალბ. ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით. წარმოდგენილი იყო კომედია „ხანუმა" და „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწინდნენ".

წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 404 მან. 96 კაპ.

შემოსწირეს: ქუთ. გუბერნატორმა სმაგინმა—5 მან.

თავ. ჯამბაკურ გურიელი—5 მან. თავ. ი. ზ. მელიქიშვილმა—3 მან. თავ. ზ. დ. ერისთავმა—2 მან. და №№—73 კაპ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ნ. გოცირიძეს და ყველა სცენის მოყვარეთ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის და აგრეთვე ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ საღამოს გამართვაში საზოგადოების გამგეობას, როგორც დახმარებით, აგრეთვე შემოწირულებითაც.

გამგეობის თავმჯდომარე კნ. ელ. წულუკიძისა,
მდივანი ს. რობაქიძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მაისი.

სოფია. ახალ კაბინეტის მინისტრ-პრეზიდენტს გენ. პეტროვს დაეკითხნენ სამინისტროს პოლიტიკის შესახებ. პეტროვმა განაცხადა, რომ არასოდეს არ დაივიწყებს რუსეთის დიდს ღვაწლს ბულგარიის განთავისუფლების საქმეში, და ამ მხრით ახალ სამინისტროს პოლიტიკა არ განსხვავდება ბულგარიის წინანდელ სამინისტროს პოლიტიკისაგან. ჩვენ ვეცდებით და ყველაფერში დავიცავთ ბულგარიის ინტერესებს. ოსმალეთის შესახებ უკვე მოხერხებულია გონიერი „modus vivendi" და ჩვენ ვეცდებით ომი თავიდან ავიცილოთ.

კონსტანტინეპოლი. მთავრობასა და დიპლომატიურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ბულგარიის ყველა პარტიების ხელმძღვანელთა გონიერი მოქმედება დაამშვიდებს აღელვებულ ხალხს და სათავგადასავლოს არას ჩაადენინებს. ყველა ოსმალეთი აღელვებულია ბულგარიის წინააღმდეგ, მაგრამ ომი მაინც არავის სურს.

მენტონა. პრეზიდენტი კრიუგერი ჰოლანდიას წავიდა, სადაც ზაფხულს გაატარებს.

ლონდონი. ლორდ ონსლოუ დაინიშნა მიწათმოქმედების მინისტრად.

კონსტანტინეპოლი. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ სიცრუეა ის საშიში ხმები, ვითომც ოსმალეთი ულტიმატუმს უმზადებს ბულგარეთს, როგორც რამდენიმე წლის წინათ საბერძნეთს. არასოდეს უმაღლეს წრეებში არა ჰქონიათ ასეთი განზრახვა, პირიქით, იმას ცდილობენ, რომ დაამშვიდონ აღელვებულნი ოსმალნი. ასე რომ ულტიმატუმი, ალბად, ბულგარელთა კომიტეტები აგრძელებენ.

ლონდონი. თანახმად ოფიციალურ ცნობისა, 1,100 დერვიში და მათი მიმდევარნი თავს დაესხნენ მდინარე ზება-შებელთან აბისინელებს; მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. დერვიშებს მოუკლეს 300 კაცი, აბისინელებს კი 30 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

კონსტანტინეპოლი. გაზეთ „ტანი"-ის ცნობა, ვითომც სერესის ოლქში აჯანყებაა და ვითომც კაჩაკის ჯარს შემოერტყნენ, ტყუილია. უწესოება თან-და-თან ისპობა; სოფელ ცელენცაში ჟანდარმებს და ჯარს შეეტაკება მოუხლეთ ბრბოსთან; ბრძოლა რამდენსამე საათს გაგრძელდა; მეამბოხეთ 7 კაცი მოუკლეს, ჟანდარმებს ერთი. პორტა აცხადებს, რომ ცნობა, ვითომც ნემეროკოზში დაატუსაღეს ბულგარელი ეპისკოპოსი, მართალი არ არის.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტს ამბავი მოუვიდა, რომ ინგლისი თანახმაა ისეთივე პირობით აიღოს ჩინეთისაგან სამხედრო საზღაური, როგორც ამერიკა იღებს, ე. ი. ვერცხლით; ხოლო თუ ჩინეთმა ვალდებულება არ შეასრულა, საზღაური ოქროთი უნდა გადაიხადოს.

8 მაისი

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია შემდეგი უმაღლესი გრამოტა გენერალ-ლეიტენანტ შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრის ვლადიმერ ბოგდანოვიჩის სახელობაზე: „ვიღებთ რა მხედველობაში მრავალწლოვან სამსახურს, რომელსაც თქვენ ასრულებდით ტახტისადმი ერთგულებით და თქვენ სასარგებლო შრომას ხალხის განათლებისათვის და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების ნამდვილ ძირითად თვისებების განსამარტებლად, სასულიერო, ზნეობრივ ხასიათის და პატრიოტულ მიხედვის გამოცემებში, ჩვენ უუმოწყალესად გიბოძებთ კავალერობას და საიმპერატორო ორდენს ჩვენის წმინდის კეთილ-მორწმუნე დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველისას, რომლის ნიშნებსაც ამასთანავე გიგზავნით და გიბრძანებთ, რომ გაიკეთოთ ზედ დადგენილ წესისამებრ. დავშთებით თქვენდა ჩვენი იმპერატორებით წყალობით კეთილგანწყობილი". ნამდვილზე მისი იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოზ".

კონსტანტინეპოლი. გაზ. „იკდამი" გვაუწყებს, 1,000-ზე მეტმა ბერძენმა, ამათ რიცხვში 150 ოფიცერმა, ოსმალეთის მინისტრს მიმართეს თხოვნით შეიწყნარეთო, რომ ისინი ოსმალეთის სამსახურში მიიღონ ბოლგარელთა რაზმების დევნაში მონაწილეობის მისაღებად. ელჩმა მათ განუმარტა, რომ ჯარი და ჟანდარმები სდევნიან ამათ და უწესოება მალე მოსპობილ იქმნება.

კონსტანტინეპოლი. ოფიციალური ცნობებით ორი ტომი: ხასი და რუგა დასთანხმდნენ რეფორმების განხორციელებაზე და ქრისტიანთა ჟანდარმებად დანიშვნაზე.—უმთავრესი ჯარი რუშდი-ფაშასი დიაკოვაშია, ნასირ-ფაშას დივიზია—იპეკში, შემსი-ფაშისა—დეჩანის მონასტერთან. სარეზერვო დივიზია პრიზრენში სდგას.

კონსტანტინეპოლი. პორტამ და დიპლომატიურ წრეებმა მიიღეს დამამშვიდებელი ცნობები: ბოლგარიაში ხელმძღვანელ წრეებში ომი არასოდეს არ უნდათ.—ცნობები აქ ბოლგარელთა დაპატიმრებაზე გაზვიადებულია. იმ მაკედონელებს და ბოლგარიის ქვეშევრდომთ, რომელნიც საეჭვოდ არიან ცნობილნი, ძალით ჰგზავნიან სამშობლოში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	$37{,}67\,^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6\,^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$98\,^3/_8$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$100\,^3/_4$ მყიდვ.
$4\,^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ.-მამ. ბანკისა	$95\,^3/_8$ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	$435\,^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	$334\,^1/_2$ „
5% გირავნ. მოგებ. ფურც. სახელმ. სათავ. მამ. ბანკისა	$297\,^1/_2$ „
5% ობლიგაციები რკინ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\,^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სათავად-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91 მყიდვ.
$4\,^1/_2\%$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სათავად-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	199 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშუაბათოით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ზორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტერაროვისა. გამგე ექიმი მირ. ქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, გორონცოვის ქუჩა, სახლი კლდიაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, კლისაბლის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონის, ტიზენჰაუზენისა და ჭუბიოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდაიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ისყიდება მამული

ვერაზე, სათავად აზნაურო სკოლის ახალ შენობისა და მართლ-მადიდებელ სემინარიის ადგილის შუა, ზომით 8000 ოთხკუთხი საჟენი. მამულის ყიდვა მსურველს შეუძლიან საჟენობით; შეიძლება ერთადაც. ერთად უფრო იაფად დაუთმობა მსურველს. იკითხეთ წყნეთის ქუჩის მისავალში, მარჯვნივ მედუქნე ზაქრო და ვაგზლის ქუჩაზე, „სვეტ"-ის რესტორანში, მებუფეტე სოფრონ ხვედელიანი. (4—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—47)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაზნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულ—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოლტავსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენჰო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პრაქტ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ყველა წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 8 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)